



ა. წაგარელი

ა. ცაგარელი

ჭკუისა მჭირს!

კომედია ერთ მოქმედებათ

მოქმედი ჰიზნი:

დათაკა, მასწავლებელი 30 წ.	{ აცვიათ ევ-	{ ნ. გოცირიძე.
ტასა, ამისი ცოლი 22 წ.	{ რაზიულად	{ ქ. ნებიერიძისა.
ბუღდან, ამათი მოვალე 55 წ.	კაბა-ახალუსით.	კ. შათირიშვიდი.
გრიჭულ, მდიდარი, მსუნაგი მოარშიყე 50 წ.	კაბა-ახა-	
	ლუსით, ვერცხლის ქაშირით.	ვ. აბაშიძე.
სასამაროლას ბოჭაული, სამსახურის ტანისამოსით.	ა. ადამიძე.	
გადამწერაგა.	.	№
მოსამსახურე-ბიჭი.	.	№
იასაული.	.	№

ამბავი ხდება თბილისში

ვერხიუფად მოწუებილი რიგანი ოთახი, სხვათა შორის, უკანა კედელთან დიდი შკაფი, სამი კარი და ფანჯარა.

გამოსვლა პირველი

ტასო (თავის ოთახიდან გამოდის მოწუენილი. ცოტა ხანს სიჩუმე) ძლივ ქვეყანაში გამოეყავით თავი და პირდაპირ უფსკრულს წავადექით. სიყმაწვილემ და გამოუცდლობამ ხელი ხელს ჩაჰკიდეს და ჩვენგან სამოთხედ წარმოდგენილი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაგვიშალეს თვალწინ. დიდი იმედები ნეტარის მომავლისა შავ ფიქრებად შეგვეცვალა. შეძლებამ და ახალგაზღვრმა ძალ-ღონემ ისე აგვიბა თვალები, რომ სისაწყლემ და სიღარიბემ რას ერქვა, ვერ წარმოგვედგინა. რაც-კი რამ გვებადა საზღვარ გარეთ მოგზაურობას და ჩვენს სურვილს შევადიეთ. რას ვფიქრობდით, რის იმედი გვქონდა? ახალგაზღობისა, ძალ-ღონისა, შრომისა, მუშაობისა! ვაი, რა ტყუილ ზმანებად დარჩა ყველა ეს!.. ამ იმედებით აღფრთოვანებულნი ცხოვრების ტალღას მივყევით... მივყევით უზრუნველად, უღარდელად, ცხოვრებისა და ფუფუნების მიმდევარნი და, როდესაც ამ ტალღამ მორევში შეგვიტანა, მხოლოდ მაშინ აგვეხილა თვალები, რომ იქიდან გამოსვლა ჩვენთვის ძალიან ძნელი იყო. მივატანეთ შრომას, მუშაობას, მაგრამ აქაც ცხადად დავინახეთ, რომ ჩვენ იმისთვის მომზადებულნი არ ვიყავით. ამგვარად დავკარგეთ ყველა, რაც გვებადა, და ვალეშობიაც ჩავცვივდით... საწყალი ჩემი ქმარი დაულალავად მუშაობს, მაგრამ რა გინდა ჰქმნა, როდესაც შემოსავლით ვალეშის სარგებელსაც ვერ ვუსწორდებით...

გამოსვლა მეორე

იგივე და დათიკო

დათიკო. (შემოვა დადონებუდი, მაგიდაზედ ქედს დააგდებს და დაჯდება) ვერაფერს გავხდი!

ცასო. (მწუხარედ) ოჰ, ღმერთო! (საჩუქე)

დათ. (ფიქრში) არა, რა ყმაწვილები ვიყავით?!... ესე როგორ წავიყვანეთ საქმე?! არა, ჩვენ თუ ყმაწვილები ვიყავით და არა გაგვეგებოდა-რა, ქვეყანა? ხალხი? ნათესაობა? მეგობრები?!. ოჰ, რა მწარე დაცინვაა ამ სიტყვების ხმარება ამ უბედურს ქვეყანაში!.. განა, თვალე ახვეული უფსკრულისკენ რომ მიდიოდე, შეგაყენებს ვინმე?! შენის ხელითვე შენთვის საწამლავს იმზადებდე გაუგებრად, განა ხელს შეგიშლის ვინმე?! არა, განა მეგობრები მაგისტვის არიან! მეგობრები იმიტომ არიან, რომ, როდესაც უგრძობლად ჰფლანგავ შენს ქონებას, იმათ სიხარულით ტაში დაგიკრან! მეგობარი იმიტომ გყავს, რომ ყველაზედ ადრე იმან მოსწამლოს შენი სიცოცხლე! მეგობარი იმიტომ გყავს, რომ პირველად იმან გამოაშკარავოს ქვეყანაში შენი დაუძლეობა, დაცემა, შენი ოჯახის დაღუპვა!.. ეს ასეა. შენ ხომ მეგობარი არა გყავს! მეგობარი ჰყავს შენს ქონებას, შენს ფულებს, შენს კარეტას, შენს ცხენებს, შენს ლამაზ ცოლს... და თუ ესენი არ გაბადია, მეგობარს თვალითაც ვერ დაინახავ. აი რას ეძახიან ჩვენს დროში მეგობრობას! (აღგება, მწარედ) წადი და იცხოვრე ამისთანა ქვეყანაში!..

ცასო. (ხაზი ადერსით) დათიკოჯან! ვგრე სულით დაცემა როგორ შეიძლება, ორნი არა ვართ? სწორედ

ვიმათხოვრებ და შენ-კი არაფერში არ შეგაწუხებ. მეც ხომ ერთგულად ხელს გიმართავდი ჩვენის ოჯახის დაღუპვაში!.. მაპატიე, დათიკო-ჯან მაპატიე, იმიტომ რომ ქვეყანას ვუყურებდი და ვერაფერს-კი ვერა ვხედავდი...

დათ. შენ რა დამნაშავე ხარ, ჩემო კეთილო? მე წინ გიძლოდი და შენ უკან მომდევდი, ჩავვარდი განსაცდელში და შენც თან ჩაგიტრიე. მე ვარ შენი მოვალე, და ეს უფრო მიწყლავს გულს. ყოველი მომავალი მოგისპე და ჩემის ხელითვე ჩემს საყვარელს ყელი გამოგჭერი.

ტასო. (მწუხარედ) შენ ჩემზედ ნუ ფიქრობ! გული გაიმაგრე, შენ თავს მოუარე... მე შენ ისე მიყვარხარ, რომ შენი გულისთვის...

დათ. კიდევ ეგა მკლავს, რომ საშინლად მიყვარხარ!

ტასო. უვალო ვინ არის, შენი ჭირიმე? შენ შენს შრომას ნუ უკლებ, ღმერთი მოწყალეა. ეს ერთი თავ-შესათარი ჭერი ხომა გვაქვს...

დათ. (მწუხარედ) საცაა მოვლენ სახლის ასაწერად..

ტასო. (ეჭვად ნაკრავი) რას ამბობ, დათიკო?!

დათ. სახლს აგვიწერენ და ჩვენ ცის ქვეშ უნდა დავრჩეთ ქუჩაში...

ტასო. (ტრემლმორეული) ღმერთო! რა შეცოდებისათვის ასეთი სატანჯველი! (დაჯდება)

დათ. (დადის) ამ სირცხვილს-კი ვედარ ავიტან...

ტასო. (შეწუხებული) რა გინდა ჩემგან, დათიკო?!

დათ. ტასოჯან! შენ ჩაიცივი და დეიდასთან წადი, ჩვენ შერცხვენას ნუ დაესწრობი.

ტასო. არა, არა! ფეხსაც არ მოვიცივლი აქედან! შენ უნდა წახვიდე, რალაც სასიკეთოს არ აპირებ! წადი ჩვენებთან. მე დეიდასთან ბიჭს გავაქცევ და შევხვებწები

ფულს, დაპირებულია. თუ გამომიგზავნა, ხომ არ ავაწერინებ სახლს, თუ არა და მეც შენს გზაზედ წამოვალ.

დათ. მერე როგორ დაგტოვო მარტო?

ტასა. ერთ საათს მარტო ყოფნა შემძლიან, და თუ არ წახვალ, გეფიცები, რაც წმინდა რამე მწამს, რომ თავს მოვიკლამ, ამიტომ რომ შენ რაღასაც აპირებ!..

დათ. (ხელზედ ჭკოცნის) მაპატიე, ტასო! მართლა არ შემძლიან აქ დარჩენა, შენ მართალი ხარ; რომ შემოვიდეს ვინმე მოვკლავ!

ტასა. (გადაწყვეტით) შენ უნდა წახვიდე, მეც ერთი საათის შემდეგ მოვალ. იქნება დეიდასაგან ფული მომივიდეს, რაზედ დავიხოცოთ წინათვე თავები!

დათ. (შიდის) აქამდისაც მივახწიე! სად არიან ამ უკიდურესს გაქირვებაში ჩემი მეგობრები, დღე და ღამ რომ ქეიფობდნენ ჩემ სახლში?!. კარგა გავიცან წუთისოფელი, მაგრამ გვიან!.. (გაღის)

გამოსვლა მესამე

ტასა, მერე ბიჭა

ტასა. (ფიქრობს) როგორ მოვატყუე ჩემი საბრალო ქმარი: დეიდასგან ფულს ველი და მოვალეებს გავისტუმრებ-მეთქი! დეიდასგან დილასვე მომივიდა პასუხი, რომ ვერას გზით ვერ შემძლიან ხელი გაგიმართოვო. მართლა ეს სახლი რომ აგვიწერონ, სხვა რაღა დაგვრჩენია! მათხოვრობა ჩვენ არ შეგვიძლიან და სად უნდა წავიდეთ? ვისთან? ამ შერცხვენას ჩემი ქმარი ვერ აიტანს, და იმისი ქირი კი ჩემთვის მოუნელგებელია. უნდა

როგორმე ვეცადო და მოვახერხო, რომ ჩემი ქმარიც და ჩემი თავიც დალუპვისაგან დავიხსნა, როგორც იმის ქონების გაფლანგვაში პირველი მონაწილე ვიყავი, ისევე ეხლა გაჭირვებაში უმეტესი ტვირთი უნდა ვიკისრო, უნდა ავითანო ყოველი დამცირება, ყოველი სიმდაბლე და ჩემს საყვარელს ქმარს-ვი ვუშველო რამე. (ზახს რეკავს) ბიჭი. (შემოდის) რას მიბძანებთ?

ტასო. (დაფიქრებული) შენ ერთი იმას უნდა დაუძახო...

ბიჭი. ვისა, ბატონო?
 ტასო. (შწარედ) ოჰ, ღმერთო!. რა ვქნა! ესეთი დამცირება!.. არავის!..

ბიჭი. გიახლოთ?
 ტასო. ჰო... არა, მოიცა. ჩვენს მეზობელს იცნობ?
 ბიჭი. რომელს? ვაქარსა? აი აღრევ თაიგულებს რომ გიგზავნიდათ...

ტასო. ჰო, იმას. (ფანჯარაში იყურება) აგერ ბალკონზედა დგას. უთხარი, რომ ძალიან საჭირო საქმე მაქვს.

ბიჭი. ბატონი ბძანდებით. (იქით) იმ დაწყევლილმა კიდევ დასძლია, ერთი წელიწადია უკან დასდევს! (გადის)

ტასო. (დაჯდება დადონებული) ახლა როგორ უნდა გავუბედო ამ საზიზღარ კაცს, ამ სულით მდაბალს, ამ ვერცხლის მოყვარე იუდას, რომელიც ჭირივით მეჯავრება, რომლის დანახვაც ყოველთვის საზარელი იყო ჩემთვის, — ამ კაცს, რომ უკიდურესს გაჭირვებაში დამეხმაროს: ფული მავალოს, რომ ჩემი საცოდავი ჭერი არ გამეყიდოს?! მაშ იმისაგან ძლეული უნდა შევიქმნა! იმისმა საზიზღარმა არშიყობამ უნდა გასჭარას: ის, ხომ ვიცი, ამას იფიქრებს და ესა მკლავს, მკლავს სულით



და ხორციით, მაგრამ სხვა რომ არა გამეწყობა-რა, რა ვქნა! (ტირის)

გამოსვლა მეოთხე

იგივე და გრაქულა

გრაქულა. (კარებს აკაკუნებს) შინა ბძანდებით?

ტასა. (თვალებს იწმენდს) მობძანდით.

გრაქ. (შემოვა მორთული, ნეტარის დიმილით) დილა მშვიდობისა, (აქეთ-იქით ისუდება) ცხონების ანგელოზო!

ტასა. (იქით ზიზღით) საწამლაია!

გრაქ. (ხელს უშვერს) მარტო ბძანდებით?

ტასა. (ხელს აძლევს) დიალ.

გრაქ. (ხელზედ ჰკოცნის) იაჰჰ! სეფისკვერია! (იმას) როგორ გიკითხობთ? ეს რა სამოთხის ანგელოზმა ჩაგაგონა ჩემი ნახვა?

ტასა. დაბძანდით. (თითონ დივანზედ დაჯდება) ერთი სათხოვარი მაქვს, ბატონო გრიქულ!

გრაქ. (ახლა სავანძელზედ ჩამოჯდება) ოც-და-ათი იყოს, გენაცვალე! ბძანე, ბძანე!

ტასა. თუ და-ძმობა გწამს, ერთი თხოვნა უნდა შემისრულო...

გრაქ. (შუბლ-შეკრული) ვინ და-ძმობა? რომელი და-ძმობა? მე ვგენი არ ვიცი? შენ ის სიტყვა მითხარი, რომელიც გულს მომთხანს... მითხარი და ხომ იცი, შეუძლებელს შევიძლებ!

ტასა. (მწუნარედ) დღეს სახლები უნდა აგვიწერონ, ვილუპებით; ბულდანა თქვენი მეგობარია, გვიშუამდგომლეთ, დაგვაცადოს...

გრიქ. (დგარძლით) ჰოოო! გეებით მახეში? რა ვქნა, რომ ჩემი მეგობარია, მე იმასთან უშუაყოცობას ვერ გავწევ: იმას ფული ყველაფერს ურჩევნია!.. განა რომ ჭკუას მოხვედი, რომ დამიბარე! (ახლც იწევს) ბულდანა ვინ ვირის ეშმაკია? შენ ნაღდი სთქვი, ნაღდი! აქამდის შენს ვალებს ოც-და-ათჯერაც გადავიხდიდი, ოღონდ ერთი სიტყვა გაგეგონებინა ჩემთვის! გაიგე, ერთი სიტყვა! (ძალად ხელს დაუჭერს და ხელზედ ჭკოცნის) ბულდანას ვსთხოვო მე, რომ სახლი არ აგიწეროს?! როგორ თუ ვთხოვო! ორ იმდენს მივცემ, რაცა გმართებს, ოღონდ შენ ის სიტყვა გამაგონე... ის სიტყვა ის... (მიიწევს ახლც საკოცნელად)

ტასო. (შეწუხებული) გველია! შხამია! ღმერთო!

გრიქ. (აღელვებული ღოუაზედ ჭკოცნის) გამიგონე! გამიგონე! თავს ნუ ილუპავ! ეს ერთი წელიწადია, კაცი აღარა ვარ, ვკვდები შენთვის! ოხრათ დარჩეს ქონება, შენი ჭირის სანაცვალათ იყოს! (ეხვევა) ბულბული ხომ ბულბულია, შაქარს აქმევენ, მე შენ ოქროს გაქმეე... სამს ამისთანა სახლს გიყიდი, ეკიპაჟით გატარებ, ხუთ-ხუთ მოახლეს თავს დაგახვევ...

ტასო. (მოიშორებს, შეწუხებული) რატომ სული არ ამომხდება!

გრიქ. რათა, რათა? აბა თქვი! ჰა, ერთი სიტყვა თქვი რაღა! ჰა, გენაცვალე!.. თავს მოვიკლოვ...

ტასო. (გუფი მისდის) არ შემიძლიან მოგეკარო, მტარვალო, ჯალათო! გამშორდი! ეს რა საზარელი წამებაა, ღმერთო!

გრიქ. (ჯიბეში ხელს იყრფს) რამდენი გინდა, ჰა? ორასი?.. ხუთასი?.. ჰა, ერთი სიტყვა... (კარების ბნახუნა და ხმაურება)

ტასო. (დაიკოფლებს) ჩემი ქმარი! (კანკალებს)

გრაქ. (ძალიან შეშინებული) ვაიმე, რაღა ვქნა, ხომ მაკლა! შენი ქირიბე დამძალე სადმე!

ტასო. (გაფითრებული) სად ან რად დაგმალო?!

გრაქ. (კანკალებს) ვა, მაშ რა ვქნა! (დასამადავ ალაგს ექებს) ექვიც ჰქონდა აღებული, ხომ მომკლავს! (შკაფში შეძვრება)

ტასო. (დგას გაშტერებული) ესეც ჩემი ღვთის წყრო-მა: ეხლა ჩემმა ქმარმა უნდა იფიქროს, რომ ის სხვაგან გავიგულე და ამ საზარელ კაცს განგებ დავუძახე.

გამოსულა მესუთე

იგივე, ბოქაული, ბუღდანა, გაღამწეანა და აასაული

ბოქაული. (მიუახლოვდება ტასოს, მოკნძალებით) ბატონო ტისო!

ტასო. (მობრუნდება) ოჰ, თქვენა?

ბოქ. ჭეშმარიტიდ სამძიმო და გულ-საკლავიო ჩემთვის ეს წუთი მაგრამ რა ვქნა! სამსახური, მოვალეობა ხომ მოგვხსენებათ. ნეტავი შემეძლოს, რომ ამ წუთში ხელი გავიმართოთ თქვენ და დათიკოს, მაგრამ რა ვქნა, რომ სიღარიბე და ხელმოკლეობა ნებას არ მძღვეს! გეფიცებით სინიღისს, ბევრი ვეცადე, თქვენი მოვალე, ეს წურბელა, როგორმე დამეყოლიებინა და სახლის აწერა გადაედო დროებით, ვიდრე რამეს მოვისაზრებდით, მაგრამ ხომ იცით ამისთანა ვაჟბატონების ამბავი, ერთი საათით მოცდაც არ უნდა.

ტასო. მაშ არაფერი არ გვეშველება, ჰა?

ბოქ. ჩემდა სამწუხაროდ, არაფერი! გული მიკვდ-

ბა, მაგრამ შეველა რომ არ შემიძლიან! მომიტევეთ, რომ ამ სხარელი საქმის აღმასრულებელი დღეს მე ვარ, თქვენი მეგობარი...

ტასო. მაღლობელი ვარ თანაგრძნობისათვის, თქვენი გულ-წრფელობა მჯერა. თქვენი რა ბრალია, სამსახურია; ყველანი უნდა დავემორჩილოთ ჩვენს ხვედრს.

ბაქ. (მწკრავს) შედით ოთახებში და ყველაფერი დაბეჭდეთ...

ტასო. (გუფს ეფერება) მე აქ დადგომა არ შემიძლიან, უნდა წავიდე. თუ შეიძლება, ფაიტონამდის მიმაცილეთ. ერთ საიდუმლოსაც გეტყვით, რომელსაც ამ სახლში იპოვეთ, გეტყვით, როგორც მეგობარს.

ბაქ. დიდის სიამოვნებით. (ხელს მისცემს და გაიყვანს)

ტასო. (შიმავაფი) მშვიდობით, ჩემო საყვარელო სახლო, ჩემო ძვირფასო კერავ! (გადას)

ბუდდანა. (გადამწკრავს) კნიაზო-ჯან, არაფერი არ დაგრჩეს დაუბეჭდავი: წყლის კოკები და ლიტრებიც-კი დაბეჭდე, ისიც ფულია, იქნება იდგეს რამე.

გადამწკრავა. თქვენ იმიტომა ხართ აქა, რომ თქვენის თვალთ ნახეთ, რომ დაუბეჭდავს არაფერს არ დავტოვებთ.

ბუდდ. ჰო, ვგრე, ვგრე, გენაცვა, მუყაითად, და ერთ ათ შაურსაც თქვენ გასამრჯელოსაც მოგართმევ.

გადამწ. (დაცინვით) რათა სწუხდებით: ათი შაურის ყველი და ჰური ერთ კვირას გეყოფათ.

ბუდდ. (იქით გაბრუნდება) ერთი ამ ქეციანებს უყურეთ და! ორი გროში ჯიბეში არა აქვთ და როგორ დიდგულები არიან! იმიტომაც გადაგდის ათ თუმნიანები, რომ ერთი წუთის საქმეში ათ შაურს არ იღებ!.. დატაკი! დაწყევლილი!.. ათ შაურს ათ შაურს დავადებ და ერთ შენისთანა ვირს სულ ვიყიდი.

ბაქ. (შემოდის) ყველაფერი დაბეჭდეთ?

გადამწ. ყველაფერი. აი შეაფსაც დაბეჭდავ და გათავდა. (ბეჭდავს)

ბაქ. (იქით, ღიმილით) კარგი ამბავი გავიგე, თავი მახეში მყავს გაბმული. ეხლა-კი, მგონია, ვუშველო ჩემ მეგობრებს. (გადამწერავს) შეაფი კარგათ დაბეჭდეთ, მანდ ბევრი ძვირფასი ნივთებია. (ბუღღანას) ჩემი ვალია გითხრათ, რომ ბექდის გატეხისთვის სასტიკი სასჯელია დადებული—ოცი წლით კატორღა, და გაფრთხილდით, არაფერ არ მიეკაროს.

ბუღღ. ვის მივაკარებ, აქ არა ვარ? ახლა კნიაზ, როდის უნდა აფხსნათ ბექედი?

ბაქ. ხუთ დღეზედ ადრე ვერ მოხერხდება: ქალაღებია უფროსებთან გასაგზავნი, სანამ იქიდან დაგვიბრუნებენ, ხუთ დღეს გასტანს. გიმეორებთ, რომ გაფრთხილდეთ, კატორღა გახსოვდეთ.

ბუღღ. კნიაზ, მალე დაანიშენინეთ აქციონი.

ბაქ. აი ვნახოთ და! მე მალე შემოვალ, სანამ თქვენ აქ იყავით და მერე ერთად წავალთ და სახლს დავბეჭდავთ. (იქით) თვალს როგორ მოვაშორებ, სანამ ამათ ხაფანგში არ გავაბამ. (მიდის, გადამწერავი და იასაუღი მისდევენ)

გამოსულა მეექვსე

ბუღღანა მარტო და გრაქულა შკაფიდან

ბუღღ. (ყველაფერს ათვალიერებს) არ არის ურიგო ლუკმა! წელიწადში ას თუმნამდის მამცემს ეს სახლი... გამიჭირეს საქმე, დააცალე, დააცალე! აზირ რა ადვილი

სათქმელია „დააცალე“! ახარ, დავაცალო რა, ბიძაშვილია ჩემი, მამიდაშვილი თუ დეიდაშვილი? ეგრეც რომ იყოს, ძმაც რომ იყოს, შვილიც... რა ვქნათ, მართებს და უნდა მამცეს. ყელში წავუჭერ, დავახრჩობ, ლუკმას წავართმევ პირიდან. მე ჩემსას ვთხოულობ, ყახალი ხომ არა ვარ, რომ ვინმე გავცარცვო!.. (ღივანზედ ჩამოჯდება) ასი თუმანი ერთი მიმიცია, ორმოცი ერთი, თხუთმეტიც ერთი, როგორც ქვეყანა აძლევს, ისეთივე სარგებლით: თუმანზე ექვსი შაური მითომ რა დიდი სარგებელია გაჭირვების დროს?! ნეუსტოიკაც თავის ხელით დაუწერილია იმ ლატაკს, იმ მფლანგავს, იმ მაჩანჩალა უჩიტელს. მეც სვინილისის სისწორით შევაკეცე თავნს სარგებელი, ნეუსტოიკაც, ღღეში მანათი, ზედ მივედი და ერთბაშად თავი ამოჰყო შვიდასმა თუმანმა!.. ახლა ეს ჩემი ბრალია?! მაშ ქვეყანაზედ ანგარიში რისთვისა ყოფილა გაჩენილი?! ჰარამი არ უნდა იყოს, რომ ამისთანა სახლი მაგისთანა ბედოვლათების ხელში იყოს!. იმიტომაც ღმერთმა ინება და ჩემ ხელში გადმოვიდა... ეგ უნდა მათხოვარი იყოს, მაწანწალა, რომ ეზოში რომ შევიდეს მოწყალეების სათხოვნელად, ჯოხით სცემონ და ძაღლები დაუქსიონ, აი ეს კარგი იქნება. ახია! (ცოტა შეისვენებს, ჯაბიდან უგელსა და ზურს ამოიღებს და სჭამს) მთელი ღღე ლუკმა არ შემიქამია ამ ხლაფორთში და „დააცადეო!“ მე აქ ყველითა და პურით სულს ვირთმევ, რა არის, გროშები ერთმანეთს არ მოვაშორო-მეთქი, და ეგ კი სხვის ფულებით გრანიცის წყლებზედ მიდის! რის პატრონი? მაშ მე ამერიკაში უნდა წავიდე? ნახევარ მილიონის პატრონი ვარ... (ბრახუნა) ვა! ეს რა იყო? (უგელსა და ზურს ჯაბეში იღებს)

გრაქ. (შკაფიდან) ჩქარა გააღე კარები!



ბუღდ (შეშინებული) ვა, ამ სახლში არის ვინმე ვინა ხარ? რა გინდა?

გმაქ. ჩქარა კარები, შე ოჯახდაქცეულო, დავიხრჩე.

ბუღდ. (კანკალით ზიზღვას იწეს) წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო შეგვიწყალენ ჩვენ... ეს რა ეშმაკებია!

გმაქ. ბუღდან, კაცო, კარები!..

ბუღდ. (შეშით) ვა! ჩემ სახელსაც ამბობს! (ევიანს) არავინ მოხვიდეთ, თორემ ტამბახას დავცლი! ეხლავე პოლიციას დავუძახებ!

გმაქ. კაცო, პოლიცია რათ გინდა, ეს მე ვარ.

ბუღდ. ვინ შენა?

გმაქ. გრიქულ ვალრაშიჩი.

ბუღდ. (გაშტკრებული) აქ რაღაც ავაზაკობაა! (იმას) მერე მანდ რა გინდა?

გმაქ. ღმერთმა ნუ იცის ჩემი თავი და შენიც, გააღე!

ბუღდ. შენი თავი და შენი ტანი—შკაფში რამ შე-
გაძვრინა?!

გმაქ. მე ტვინდაობებულიო, გააღე, გეტყვი.

ბუღდ. გააღე!! მამა გიცხონდა ერთი კიდეგ შენი გულისთვის ციმბირში წავალ! (იქით) ვა, ეს მოჩვენება ხომ არ არის?! იქნება ავაზაკები არიან დამალული და ჩემი დახრჩობა უნდათ! (იმას) მართლა გრიქულა კი ხარ? მარტო ხარ?

გმაქ. არა, მამაგიცხონდა, შკაფში საზანდრებით ვიჯდები! მარტო ვარ მაშ!

ბუღდ. (გაოცებული) ვერაფერი ვერ გამიგია, ამ წყეულს შკაფში რა უნდა, ან ვინ შესვა იქა? აქ უთუ-
ოთ რამე ავაზაკობაა!

გრიქ. დავიხრჩე, კარები!

ბუღდ. ვერა მეთქი, ამისთვის ციმბირში წავალ...

გრიქ. რაზედ წახვალ ციმბირში შე ოჯახ ამოსაწყვეტო? ტურა ხომ არა ვარ, რომ შკაფში დამამწყვდიეთ! სლუჩი მოხდა, გიამბობ, რისა გეშინიან?

ბუღდ. ვერა, ძმავე, ხომ არ გაგიჟებულხარ?! კახინი ბეჭედი ავხსნა, კატორლაში წავიდე!! დეე, თითონ პრისტავი მოვიდეს და განახოს. (იქით) რას გავხსნი ბეჭედს! შეიძლება, აქ რამ ფინთი ავაზაკობაც იყოს. პრისტავი მოვიდეს ჯერა...

გრიქ. ჰა, არ აღებ?

ბუღდ. ჩემი რა საქმეა, პრისტავმა იცის...

გრიქ. კაცო, შე თელეთის გლახავ, იქნება პრისტავი ამაღამ არ მოდის, მე ხომ აქ ბნედა დამემართა, გავგიჟდი?

ბუღდ. ჯანი და სული წაგივიდეს! კაი კაცი იყო, მანდ რა გინდა?

გრიქ. ყველაფერს გეტყვი, გასაღები გადააბრუნე, თორემ დავამტვრევ!

ბუღდ. საქმე გასაღები კი არა-სახელმწიფო ბეჭედი! ეხლავ პოლიციას დაუძახებ! (მიდის)

გრიქ. რის პოლიცია, შენი ოხერი პატრონიცა... კაცი ვიხრჩევები, მეტი რა მამივა! (მთაწვება კარებს და გამაზგრეკს) აი შენი ბეჭედი, შე სამჯერ დამწვარო და თხუთმეტჯერ გაკოტრებულო! (მიდის კარებისკენ)

ბუღდ. (გამოუდგება გამწარებული) შენმა სიცოცხლემ, შენ-კი წმინდა მოციქული ხარ! (სტაფებს ხელს) სად მიდიხარ, სადა?! მე საციმბიროდ მხდი, და აქედან ცოცხალს გაგიშვებ! (წინ მიათრეკს)

გრაქ. (იშორს) გამიშვი, ნუ მიჭერ, თორემ ეხლავე ჩაგაძაღლე! (ძიძვილად)

ბუღდ. (ებლაუჭება) არ გაგიშვებ, შე ჰარამზადავ! მოვიდეს პრისტავი ნახოს, რომ ბექელი გატეხე... (კინკლაობენ)

გრაქ. შენ არ გატეხე ბექელი, შე ქოფაკო, და მე მამბრალე, ქუჩაში ჩემთვის მივდიოდი! ეხლავე პროკურორთან წავალ!.. გამიშვი მეთქი, თორემ დაგახრჩე! (ეეღში უჭერს)

ბუღდ. (ღრიალებს) დამახრჩეს!.. ყაჩაღები!.. რაზბონიკ!.. ვორ! მაშენიკ!... პოლიცია! პრისტავ! პოლიცმეისტარ! ყარაულ! (იბრძვიან)

გრაქ. (უჭერს) კიდევ არ დაიხრჩე, კატა ხარ, შე წყეულო?!

ბუღდ. არ გაგიშვებ, სანამ სულ არ დამახრჩობ...

გამოსვლა შემვიდე

ივინიე, ბექელი და ანასელი

ბექელი. (ვითამ ზრს იცის რა) ეს რა ამბავია?

ბუღდ. (ხელს უშვებს გრაქელს) აი ამან გატეხა, პრისტავიან, არ გაუშვათ...

გრაქ. მოგახსენოთ, კნიაზ, როგორ იყო საქმე...

ბუღდ. არ დაუჯერო...

ბექ. კაცო! დაგიჟდით, თუ რა ღმერთი გაგიწყრათ? რა ამბავია?

ბუღდ. რალა რა ამბავია, ამ ავაზაკმა ბექელი გატეხა და გაქცევას აპყრობს, არ გაუშვა, შენი კუჭის ქირიმე!

გრძე. (გააწვევებინებს) თითონ დამიძახა ამ აძაღლებულმა, ქუჩაში მივდიოდი...

ბუღდ არა, არა, ჩემმა მზემა!

ბეჭ. მე არაფერი არ ვიცი; არც ლაპარაკი მინდა, არც მოწმები. თქვენ ორივეს აქ მოგასწარით; სასტიკი მოახოვნილება კანონისა დაგირღვევიათ და დანაშაულიც შუაზედ უნდა გაიყოთ!. ამას სამართალი გაარჩევს... ოც-ოცი წელიწადი კატორღაში რომ იქეიფებთ, მაშინ გაიგებთ, რა არის კანონის დარღვევა. (სწევს)

გრძე. ოც-ოცი წელიწადი რათა, კნიაზ? თუ დანაშაული შუაზედ უნდა გავიყოთ, ანგარიშით თითოს ათი გვერგება!

ბეჭ. ეს ჩემი საქმე არ არის, სამართალმა იცის.

გრძე. ამას ჯანი გავარდეს, მაგის ცოლშვილს კიდევ გაეხარდება ამ ჯოჯოხეთის დაკარგვა, ახარ მე რა ვქნა, დღეს გამოჩენილი კაცი ვარ, ჰამქრის უსტაბაში...

ბეჭ. ვინც გინდა იყავი, ჩემთვის სულ ერთია! (იასაუფს) არავინა სჩანს? მაშ მე დავწერ პროტოკოლს და პროკურორს წავუღებ. შენ აქ იქნები, და ვინც ფეხს მოიცვლის ადგილიდან, იმ წამსვე იარალი! (ჯიბიდან ჯაჭვს ამოიღებს და უეჭზედ ჩამოიგდებს. სწევს)

გრძე. (რა დანახავს ჯაჭვს მივარდება) პრისტავჯან, პრესედატელჯან! მოიხსენი ეგ ჯაჭვი, განა არ ვიციით, ვინც ხარ!

ბეჭ. (შეუტევს) იქით მომეცალე! ჩემი ხელის შეხება ერთი ორად მოგიმატებს სასჯელს. (სწევს) მე კანონის ძალით ვმოქმედობ.

გრძე. (კანკალით) ნეტა ის არ ჩამოეკიდნა, იცი რა ძალა აქვს? ცემით რომ გავგვებთქა, ხმას არავენ გავცემდა; ეხლა-კი მაღალი სიტყვა რომ უთხრა, ჩამოგახრ-

ჩობენ. დავილუბენით რაღა! (ბუღანას) კაცო, რა ენა ჩაგივარდა, შე იუდას ვირო, ვერა ხედავ, ეღარა ხუმრობს, ვიკარგებიო? (იქით მიჭყავს) მოიფიქრე რაღა რამე!

ბადდ. (ძალიან დადინებული) გავებით კანონის მახეში, რა ღვთის რისხვა უნდა მოვფიქრო?!

გნაქ. ჩაველაბოთ რამე....

ბუღდ, ღმერთმა ამოგწყვიტოს შენა, მოწამეც არამყავს, თავი ვიმართლო!...

გნაქ. რა დროს ლაპარაკია, სული ბეწვზედა ჰკიდია! მოიფიქრე.

ბუღ. რა ღვთის წყრომა უნდა მოვიფიქრო?

გნაქ. ღმერთმა ნუ გამოგილიოს!... მივცეთ რამე მეთქი.

ბუღ. რას ოხრობ! არ იზამს, კანონები იცის, ჭკვიანი კაცია!

გნაქ. მერე რაზედ ატყობ, რომ ჭკვიანია?

ბუღ. რა ქრისტემ აგება თვალები, ვერა ხედამ რამოდენა თავი აქვს?

გნაქ. შე ტუტუცო, ქეთა რომ თავზედ იყოს, მაშ კამბეჩები სულ ფილოსოფოსები იქნებიან: იმათზე დიდი თავი ვისა აქვს?.. ჰა, მივცეთ რამე, ნუ გაქვავებულხარ, თორემ როცა პროკუროვს მოიყვანს, მაშინ პაპა-შენიც ვერ გიშველის!

ბუღ. თქვი რაღა, ენა გაგინმა, რა მივცეთ?

ბოქ. (ადგება, ქადაგდებას აიღებს, იასაუღს) როგორც გიბძანე... ეხლავე პროკურორს მოვიყვან. (მიდის)

ბუღ. (მივარდება გამწარებული) კნიაზ, ღმერთი იწამე, ნუ მიღიხარ, რაც გინდა, გამოგვართვი...

გნაქ. (მივარდება) შენი ვულის ქირიმე, ერთი გაზე და, რამდენი გინდა?..

ბაქ. მომშორდით მეთქი! თორემ ეხლავე შეგარულებს ჩაგატარებთ ქალაქში! (აზიკებს წასვლას)

გრაქ. (იატაკზედ დაეცემა და ორივე ხელს ცაფფებს. ზედ მახევეს) აი აქვე მომკალი, არ გაგიშვებ!

ბაქ. მამშორდით! რას შერები, არ წამაქციო, თორემ იასაულს ვუბრძანებ, იარაღი იხმაროს!

გრაქ. (ეხლაუჯება) რაც გინდა გვიყავ, არ გაგიშვებთ!... შენი თირკმელების ქირიმე!.... რაც კი რამ გაბადია, იმისი ქირიმე!

ბუღ. (ტირილით) შე დალოცვილო, ძაღლები ხომ არა ვართ, ერთი სიტყვა გვათქმევენ... ყელებს ნუ გვჭრი! რამე გაიგე...

ბაქ. (წინ მივა) აბა ჩქარა თქვით, რა გინდათ? ეს ისეთი საქმეა, რომ ეხლავე უნდა შევატყობინო.

გრაქ. (წინ სცენაზედ მივა და იბერტყება, თან ხელით თავში იცემს) ახია? ახია შენზედ, შე ყურუმსალო!

ბუღ. ერთი გვიბძანე, რა უნდა ვქნათ, რომ ამ ჯოჯობეთს მოვშორდეთ?

გრაქ. (ჯიბში ხელს იყობს) რამდენი მოგცეთ, ეს ცეცხლი მოგვაშორო?

ბაქ. (გაჯაფრებით) როგორ თუ მომცეთ! მე რა უნდა მომცეთ?! კანონს უნდა გასცეთ პასუხი... არა, ბატონებო, ამისთვის მეც დავისჯები! მე უნდა აღვასრულო კანონის ბრძანება! (წასვლას აზიკებს)

გრაქ. | (ეხლაუჯებიან) ეს რა ცეცხლია! მაშ გვითხა-
ბუღ. | რი, რა გინდა?

ბაქ. გადაწყვეტით გეუბნებით, რომ ორივენი ციმბირში წახვალთ.

გრაქ. შე ოჯახ აშენებულო, თელეთში არ მივდივარ საქეიფოთ, ციმბირში რა შავი ქვა დამრჩენია! (ტირილს)

ამოუშვებს) რაზედ ამომირჩიეს უსტაბაშად! ციმბირში წავიდე, მერე რისთვის? ნეტა რამე საქმე მექნა! ასეთი შერცხვენა!

ბოქ. (შითამ ფიქრებს) მართლა რომ ძალიან ცუდი საქმე მოგივათ, თუ სამართლის ხელში ჩაგვივდით, მაგრამ რა ვქნათ, კანონი სასტიკია. მეცოდებით, თუმცა თქვენი დატანჯვა ახია, მაგრამ.... იქნება მოვახვარხო რამე, და თუ გამოიგეს...

გრიქ. (ბუღღანაზედ) ეს პირძალი თუ იტყვის, თორემ....

ბუღ. ვინ წყეული ენას დასძრამს, ოღონდ აქედან მშვიდობით გავიდე.

ბოქ. იასაულო! (გრიქულაზედ) ეს ბატონი დერეფანში გაიყვანე და ხანჯლით დაადექ თავზედ, ფეხი არ მოიცვალოს! მე დაგიბარებთ. (გრიქულას) მიბრძანდით.

გრიქ. (დაედრეჯება) კნიაზ, რაღა დამიძახებ, ბარემ სულ წავალ?

ბოქ. სულ წახვალ ბორკილით! მიბრძანდი!

გრიქ. (შიდის) ვინ იცის, კიდევ რას გვიპირებს! (თავში ირტყამს) კიდევ იარშიყე, კიდევ იარშიყე, შე დიდყურებიანო! (შიდის, იასაული ამოდებულის ხანჯლით მიჭეჯება) კაცო, ცოტა შორს დაიჭირე ხანჯალი, ემანდ უცბად ცხვირი არ დააცემინო და მუცელში არ წამიშუკო! (გადაიან)

ბუღ. კნიაზ, ერთი გადამარჩინე, შენი ქირიმე, ამ უნამუსობას.

ბოქ. შენისთანა კაცს სიკვდილი თუ გადაარჩინს უნამუსობას, სხვა ვერაფერ.

ბუღ. ახლა გაიგე და იმან გატეხა მეთქი ბეჭედი, თორემ მე რა ვქნა? აი ამ უკაფში ყოფილა დამალული, თორცა დავბეჭდეთ.

ბექ. როგორ თუ შკაფში?

ბუღ. მამა ნუ წამიწყდება, იქიდან გამოვარდა!

ბექ. მერე შკაფში რა უნდოდა ამ პატროსან ოჯახში, ვინ შესვა?

ბუღ. ღმერთმა ნუ იცის იმისი თავი და ტანი!

ბექ. (დაჯდება და პორტფელიდან ქაღალდებს იღებს) მობრძანდი, შენ აქ ხელი მოაწერე, (სწერს) თუ არ გინდა, რომ ცოლშვილი ოხრად დასტოვო.

ბუღ. (შივა კანკალით) ეგ რა არის? რას უნდა მოვაწერო ხელი?

ბექ. ეს არის შენი ვალის ქაღალდი, რომლის ძალითაც ეს სახლი უნდა აგვეწერა. შენ უნდა მოაწერა, რომ ამ სახლის ვალი სრულიად მიიღე და სრულად დაკმაყოფილებული ხარ.

ბუღ. (ზარ დაცემული) შევიდასი თუმანი?! როდის მივიღე? ნუ მღუპავ!

ბექ. შე უბედურო, გამოშტერებულო! შენ ეს არ იცი რომ ვერც შვიდ კაპიკს აიღებ, ციმბირშიაც წახვალ და ქონებასაც აგიწერ შკაფის გატეხისათვის, რადგანაც შე ვიცი, რომ ამ შკაფში ორი ათასი თუმნის ნივთები იყო და ეხლი აღარ არის: შენ ეს ხრიკები იცი?

ბუღ. ეს ხომ მოვკვდი! ჩემი ოფლი, ამაგი, ჯაფა სულ მუქთად მიდის!

ბექ. ამიტომ, რომ ნაარმალია.

ბუღ. (ხვეწნით) ხელს მოვაწერ, რომ ნეუსტოიკა არ მინდა, დანარჩენი მომცეს.

ბექ. როგორ?! მადლობელი არა ხარ, რომ ასე გითავებ საქმეს? ეხლავე შეგკრამ, შე საკირეში დასაწვავო!

ბუღ. კარგია, კარგი, რა ცეცხლი ხარ! აბა წაიკითხე რა სწერი?

ბაქ. აკი წაგიკითხე. „700 თუმანი ვალი მივიღე და დაკმაყოფილებული ვარ სრულიად“. აი აქ მოაწერე სახელი და გვარი

ბუღ. (წელმწვევტილი) ესეც ვა დამენგრა თავზედ! (აწერს)

ბაქ. ჩქარა მეთქი! (ქაღალდებს ჩააღაგებს ზრტფულში) ეხლა მიბრძანდი, საცა გინდა!

ბუღ. ცოტა ხათრი მაინც იქონიეთ.

ბაქ. ვისი ხათრი? ცოტა გებვეწე, დააცალე მეთქი? ხომ გროშსაც არ დაჰქარგავდი! გასწი ეხლავე აქედან, შე მაწანწალავ, მსუნაგო მელიავ, თორემ მათრახით გაგიყვან!

ბუღ. ღმერთმა ყველას ცეცხლათ უქციოს ჩემი ოფლი! (გადის)

ბაქ. (შიაძახებს) შაი, თქვე ავაზაკებო, თქვენა! ქვეყნის მყლაპავებო! ათი თუმანი სამ წელიწადს სამას თუმნად გადააქცია! ეგრე გინდათ თქვენ! ეს სახლი ხომ დავუბრუნე ჩემს მეგობრებს, ეხლა ფიქრი აღარა აქვთ. ცოტა ჯიბის ფულიც ვუშოვო.... ვინც რა უნდა იფიქროს ჩემზედ, მე სინიღისი ძალიან დამშვიდებული მაქვს, რადგანაც შემოძლია ამ მკონარების მატერიალურად დასჯა: ზნედაცემულნი ზნეობრივ თავის დღეში არ დაისჯებიან. იასაულო, შემოიყვანე ეგ პატიოსანი.

გრაქ. (შემოდის, უკან იასაული მოსდევს) ბიჭო, რას დამდევ ხანჯლით, რა ყაჩაღი მე მნახე? შენმა მზემ, მე თუ დამდიე ხანჯლით, მითომ ქარიშხა დაგიქვრია! რომ დავგინახოს ვინმემ, რამე ეგონებათ, კაცები დაუხოცნიაო!

ბაქ. (იასაულს) გარეთ დაიცალე, დაგიძახებ. (იასაული გადის)

გრაქ. (ძაღად მხარულად) აზირ, რა კარგი ტერ-

ტერა იქნებოდნი, კნიაზ, თითო თითოდ რომ გვათქმევინებ აღსარებას. (თავის ქნევით) სწავლა რა არის, ეს ოხრად დასარჩენი!

ბოქ. (დაჯდება მაგიდასთან) ბეჭედი რათ გატენებ?

გრაქ. (ღიმილით) ბეჭედი არა, ბრასლენტი არ გინდა! მე რა გავტენებ, შენც დაიჯერე? ქუჩაში მივდიოდნი ჩემთვის, დამიძახა და....

ბოქ. საცა მიდიოდნი, ეგ მე ვიცი. შკატში რა გინდოდა?

გრაქ. ჰოდა ამ შკატზედ ვამბობ... (მივა და მაგიდაზედ დაეხრება, სიადუმლად) იცი, რა ქულიკია ეგ ბებერი ქოფაკი? მაგას ყალბი ფულებიც აქვს....

ბოქ. (ხეჯით იშვრებს მაგიდიდან) იქნება მართლაც სწორედ იცი?

გრაქ. სწორეთ, მაში საიდან გამდიდრდა?

ბოქ. თუ მართალია, ეხლავე უნდა წამომყვე, გავჩხრიკოთ.

გრაქ. (იქით) ერიჰაა! ესეც კიდევ ახალი საქმე! მე რა ვიცი, მე ხომ სიშიკი არა ვარ... ამბობენ. (იქით) კაცო, ქვეყანა ქვეყანდება, და მე თან და თან ვგიჟდები? (იმას) ახლა ისე წამოვყარან ტალე, ხომ არ დამახრჩობ, შე დალოცვილო?

ბოქ. თუ ნამდვილად არ იცი, არ უნდა სთქვა, და თუ იცი, ვალდებული ხარ, მართებლობას შეატყობინო. (სწევს) ეს რა სამხუმროა?

გრაქ. სწორედ არ ვიცოდნი, მაპატიე, ვირზე შევჯექი რაღა!

ბოქ. აბა მობძანდი, ხელი მოაწერე.

გრაქ. (შუბლ შეკრული) რას უნდა მოვაწერო ხელი?

ბოქ. იმას რომ, სისულელე არ უნდა ჩაიდინო.

გრიკ. ეს უმაგისოთაც ვიცი... (ღიმილით) რა დროს
ვე არის, სადილის დროა, ჩავიაროთ ჩვენკენ, ხომ მოვ-
რჩით იმ იუდას...

ბოქ. (წაბზ შეკრული) ვინ იუდას? მე ეხლა ვიწყობ
საქმეს, რას მოვრჩი?

გრიკ. კარგი, წავიდეთ, ჩემ სახლში გააკეთე საქმე;
კარგი სადილი შევექცეთ... გინდა საზანდარსაც დაეუ-
ძახო?

ბოქ. როდის ვყოფილვარ თქვენთან, რომ ეხლა
წამოვიდე?

გრიკ. (იქით) ღმერთო, რა მომდის! (ამას) წამო,
ჩემ ცოლსაც გაგაცნობ: იცი, რა ადამიანია? რა მურა-
ბები აქვს, რა ჩირი. ინდიხურმა.... ერთი სიტყვით ნამ-
დვილი ხაზეიკაა, თქვენმა დღეგძელობამ.

ბოქ. მე თქვენთან სასაუბროდ არა მცალიან, აწერ
ხელს თუ არა? ამითი თქვენი ბედ-იღბალი გადაწყდება
ეხლავე....

გრიკ. რას უნდა მოვაწერო ხელი?

ბოქ. აი ამ თამასუქს. შენი იღბალი, რომ ასე ადვი-
ლად გადარჩი! მე მილოცე.

გრიკ. რა სწერია?

ბოქ. აი რა სწერია: მე, ამასა და ამას, მმართვეს
ამისა და ამისა სამასი თუმანი ფული, რომელიც ვალად
ამილია და თუ ექვს თვეზედ არ ჩავაბარო, ასი თუმანი
ჯარიმა გადავუხადო. — შენ ჭკვიანი კაცი ხარ, ადვილად
მიხვდები, რაშიაც არის საქმე.

გრიკ. (გაშტერებული) სამასი თუმანი?! ვისა? რისა?
ბარემ ფურნეში შემწვი რაღა.

ბოქ. ჰოოო! მაშ გინდა, საქმე თავიდან დავიწყო?
ეხლავე, (ეგვიძის) იასაულო! (იასაული შეძღის)

გრაქ. (შიგარდება) მოიცა, კაცო, მოიცა! თოფის წამალი ხარ? (ასსუფს) კნიაზმა-ფაიტონს დაუძახეო. (იქით, უბაში იკრამს) შერცხვა შენი უსტაბაშობო, შე თავლაფი-ანო! ეს რომ ჰამქარმა გამიგოს, ხომ გამაგდებს ცემით!....

ბაქ. არ მინდა ფაიტონი, გადი და დამიცადე.

გრაქ. (იღებს კლამს დადრეჭილი) ჭკუისა მჭირს და! ახია ჩემზე! ერთი კოცნა სამასი თუმანი!! ვა ბისმარკის ცოლის ვაკოცე, თუ რა ამბავია?! (ხელს აწერს) ვაი, რა ღრმით შევეტოპე, მოდი და ეხლა უსტაბაში დამიძახეთ.

ბაქ. (თამასუქს უბეში იღებს) კიდევ გეუბნები, რომ ციმბირს ასცდი, ჩემი მადლობელი იყავი. შენი იღბალი... ეხლა მიბძანდი!

გრაქ. (წინ სტენასზე შივს) ისემც ღმერთი გაგაოხრებს, როგორც მე მადლობელი ვარ! ხალხო! ჩემისთანა ოხერი კაციც გინახამთ?! რა შავქვად მინდოდა ეს გამა ხმარი გოგო, სამკაპეიკიანი სილიოტკასა გავს! ჩემი ცოლი რომ ნახოთ, სტრელკოვი ბატალიონის კაზარმა გეგონებათ! (იღებს თავში) ჭკუისა მჭირს, ჭკუისა! (შიდის)

ბაქ. მიბძანდი, მიბძანდი!... იასაულო!. (შემოდის) ეს ბატონი გააცილე ალაყაფის კარებამდის, როგორც იცი...

იასაულო (შოხევეს ხელს და ძუნძულით მიჭყავს)

გრაქ. (მიძვავალი) ნელა, კაცო, ხანჯალი არ ამოგვარდეს და არ მეტაკოს! (კანებში) ახლა, კნიაზო, მაგ თამასუქით უნდა მიჩივლოთ?

ბაქ. თუ ხვალ ამ ღრომდის სამასი თუმანი არ მომიტანე ჩემს კამერაში, მევე აგიწერ ქონებას და სახლსა. მიბძანდი!

გრაქ. გადავიხდი, მაგრამ ქვეყანას ვეტყვი, რომ
 ეს ქალი ჩემი საყვარელი იყო! (გადის)

ბრაქ. (შიამხებს) სადაც გინდა თქვი! იასაულო! მია-
 ყოლე, რაც შეიძლო! (იღებს ზორტყელს) ეხლა წავალ
 და ჩემს მეგობრებს გავახარებ. (მიდის)

შ ა რ დ ა

აქ. ტაგარელი.

ს. ქალადიდი, 20 იანვარი, 1897 წ.

ს ა ს ხ ე ლ ს ს ა წ ე ა :

სანთელი, ლაქი და ბეჭედი (გადამწერელს); ყველი
 და პური (ბუღდანას ჯიბეში უწევია); პორტველ ქალა-
 დებით, ყელზე ჩამოსაკიდი მოსამარლის ჯაჭვი (ბაჭაუელს,
 ჯერ ჯიბეში უდევს, მერე ჩამოიგდებს); საწერ-კალამი
 (მაგიდაზე აწევია); ხანჯალი (იასაუელს).